ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3006530

ნომერი: AR1463561

თარიღი : 14.12.2016

გაცემის თარიღი : 19.12.2016

გაცნობის თარიღი : 19.12.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ონიაშვილი , N 26 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ოთარ საბაშვილი პ/ნ 01017007949
- თბილისი ი.ნიკოლაძის ქ. N 5,,ა" ბ. 63

ორგანიზაცია:

- ამხანაგობა "ონიაშვილის 26" კოდი: 205312311

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 10 ივნისის №2638773 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 14 დეკემბრის №AR1463561 განაცხადით მომართა ოთარ საბაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2016 წლის 10 ივნისის №2638773 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2016 წლის 10 ივნისის №2638773 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, ონიაშვილის ქ. №826-ში, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.10.12.041.014), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია აღნიშნულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანა, კერძოდ ტექნიკური შეცდომის გასწორების მიზნით ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო ფართის 2018.8 კვ.მ.-ის დაფიქსირება, საცხოვრებელი ფართის 1069.3 კვ.მ.-ის, ხოლო საზაფხულო ფართის 258.5 კვ.მ.-ის დაფიქსირება. ასევე, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია 2016 წლის 03 მარტის №2638773 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის შესაბამისი, გასწორებული გეგმები.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი განაცხადის, დოკუმენტაციისა და შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის შესწავლის შედეგად, სამსახურმა დაადგინა, რომ განმცხადებლის წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმები შეესაბამება შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:
1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 10 ივნისის №2638773 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო ფართობი დაფიქსირდეს 2018.8 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი დაფიქსირდეს 1069.3 კვ.მ, საზაფხულო ფართობი დაფიქსირდეს 258.5 კვ.მ, ხოლო 2016 წლის 10 ივნისის №2638773 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს 2016 წლის 14 დეკემბრის №AR1463561 განაცხადით წარმოდგენილი გეგმებით. სამსახურის 2016 წლის 10 ივნისის №2638773 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 10 ივნისის №2638773 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.